ბიუჯეტის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2024 წელი, დეკემბერი
თბილისი

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტური სისტემა მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ მომსახურების გაწევის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული რეფორმის გამოწვევად რჩება საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემის სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ბიუჯეტის დაგეგმვაში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შემუშავების შესახებ.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია როგორც მოქალაქეების აქტიურობა და მათი მხრიდან საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება, ასევე მთავრობის მზაობა განიხილოს წარმოდგენილი წინადადებები და უზრუნველყოს მათი ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობა

საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების სრულყოფილად დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გამჭვირვალობა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია გამჭვირვალობა, რაც გულისხმობს საბიუჯეტო დოკუმენტაციის ღიაობას და ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, ასევე ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის. თავის მხრივ, ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეფექტური ელექტრონული სისტემების ფუნქციონირება.

> *გამჭვირვალობა – ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით ორგანოში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.*

არსებულ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბიუჯეტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შემუშავება, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობა, ამ პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობის და მონაწილეობის შესაძლებლობა, უკეთესი საჯარო მმართველობის ჩამოყალიბება. აღნიშნული ეხმიანება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის[1] (ამოცანა 1.5 „ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა“) 2024 წლის სამოქმედო გეგმას[2] და მოიცავს, რომ საჯარო ფინანსების მართვის ყველა ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯაროა საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად.

ამასთან, „2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1-ლი მარტის N 62 დადგენილებით განისაზღვრა, რომ სამინისტროებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში უზრუნველყოს ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სისტემის (E-BTPS – Budget Transparency and Participation System) გავრცელება შესაბამისი სფეროს სხვადასხვა ფოკუსჯგუფში.[3] საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, ბიუეჯტის მოქალაქის გზამკვლევი და საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის[4] მეშვეობით.

---

[1] https://mof.ge/5613
[2] https://mof.ge/5747
[3] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6123841?publication=0
[4] https://mof.ge/4536

ღია ბიუჯეტის ინდექსი – Open Budget Index

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (The International Budget Partnership) თანამშრომლობს მთელ მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოებასთან საბიუჯეტო ანალიზის, როგორც ეფექტიანი მმართველობის და სიღარიბის შემცირების ინსტრუმენტის გამოყენებით.

ღია ბიუჯეტის კვლევა (The Open Budget Survey)[5] წარმოადგენს ერთადერთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს, რომელიც რეგულარულად აფასებს ბიუჯეტის გამჭვირვალობას, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობასა და საბიუჯეტო ზედამხედველობას. კვლევა აფასებს ბიუჯეტის გამჭვირვალობას, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობას და ზედამხედველობის მიმართულებებს. ანალიზი ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ და ამ ხნის განმავლობაში კვლევაში ასობით მკვლევარი მონაწილეობს. შეფასების დროს გამოიყენება შესაბამის ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ქვეყნები ფასდება 0-დან 100 ქულამდე. მთავრობას აქვს შესაძლებლობა გამოხატოს პოზიცია კონკრეტულ კითხვებზე პასუხებთან მიმართებაში და დააფიქსიროს მოსაზრება შეფასების შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია განხილვის შედეგად ეს ცვლილებები არ იქნეს გათვალისწინებული ან გათვალისწინებულ იქნეს და შეიცვალოს/დაკორექტირდეს შეფასების ქულა. საბოლოოდ მინიჭებული ქულებით გამოითვლება ბიუჯეტის გამჭვირვალობის ინდექსი.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ საქართველოს შეფასება გაუმჯობესდა 2006 წლის შემდეგ. კერძოდ, 2006 წელს ბიუჯეტის გამჭვირვალობის ინდექსი იყო 34, 2008 წელს გაიზარდა 53-მდე, ხოლო 2010 და 2012 წლებში დაფიქსირდა 55 ქულის ფარგლებში.



[5] https://www.internationalbudget.org/

2015 წელს განხორციელებული იმავე კვლევის თანახმად, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა. გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევის 2017 წლის შედეგებით, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის. აღნიშნული პოზიციით, საქართველო პირველად მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში. 2019 წლის შეფასებაში კვლავ მე-5 ადგილის შენარჩუნება მოხდა, ხოლო 2021 და 2023 წლის შეფასებებში საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია და ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაციის - IBP მიერ ბიუჯეტის გამჭვირვალობის შეფასებით ზედიზედ ორჯერ პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის, რაც საჯარო ფინანსების მართვის სფეროში თანმიმდევრული და სწორად დაგეგმილი რეფორმების შედეგია. არანაკლებ ხაზგასასმელია საქართველოს პოზიცია აღნიშნული შეფასებით ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, რაც განვითარებული ქვეყნებისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ამ მიმართულებით საქართველო მე-4 ადგილს იკავებს მსოფლიოში.

- *ბიუჯეტის გამჭვირვალობა - 87 (1-ლი ადგილი მსოფლიოში)*
- *საბიუჯეტო ზედამხედველობა - 83 (მე-4 ადგილი მსოფლიოში)*
- *მოქალაქეთა ჩართულობა - 44 (მე-5 ადგილი მსოფლიოში)*

ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა

მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, ფინანსური სახსრები გადაანაწილოს საკუთარი შეხედულებისამებრ დაგეგმილი პროგრამების მიხედვით, დააფიქსიროს მოსაზრებები და მიიღოს უკუკავშირი მის მიერ წარდგენილი წინადადებების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე.

ბიუჯეტირების კუთხით ერთ-ერთი გამოწვევაა სწორედ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შექმნა. ამ მიმართულებით 2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით და USAID-ის მხარდაჭერით შემუშავდა კონცეფცია, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალის/მოდულის - „ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა“ (eBTPS – Budget Transparency and Participation System) შემუშავების მიზნით. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შემუშავდა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის ელექტრონული სისტემის (eBTPS) ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც მომზადდა ახალი ელექტრონილი სისტემა (eBTPS), რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ დაგეგმონ ბიუჯეტი თავისი შეხედულებისამებრ და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები[6].

ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა
eBTPS – Budget Transparency and Participation System
„ერთად დავგეგმოთ სახელმწიფო ბიუჯეტი“



[6] https://ebtps.mof.ge/

სისტემა შედგება ხუთი მოდულისგან. ესენია: **დაგეგმე ბიუჯეტი, მოქალაქის გზამკვლევი, ბიუჯეტის გრაფიკული მონაცემები, საბიუჯეტო კალენდარი, საჯარო ფინანსების მართვა.**

დაგეგმე ბიუჯეტი საშუალებას გვაძლევს საკუთარი მოსაზრებების შესაბამისად დავგეგმოთ სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც მხარჯავი ორგანიზაციების, ასევე ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით. სისტემაში შესულ მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მისთვის მოსახერხებელი დაგეგმვის შესაძლებლობა. მხარჯავი ორგანიზაციების მიხედვით დაგეგმვის დროს შესაძლებელია დავგეგმოთ როგორც ყველა ორგანიზაციის, ასევე მხოლოდ ერთი მხარჯავი ორგანიზაცის ბიუჯეტი. პრიორიტეტების დაგეგმვის დროს ასევე შესაძლებელია ავირჩიოთ მხოლოდ 12 ძირითადი პრიორიტეტი (პროგრამების გარეშე) და მათ მიხედვით დავგეგმოთ ბიუჯეტი. თუმცა პროგრამა ასევე გვაძლევს საშუალებას დავგეგმოთ როგორც თითოეული პრიორიტეტი, ასევე ყველა პრიორიტეტი ცალ-ცალკე პროგრამების მიხედვით.

დაგეგმვის დაწყებამდე თითოეული ორგანიზაციის/პრიორიტეტის არჩევისას შესაძლებელია ვნახოთ გასული წლის და მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მონაცემები. ასევე შესაძლებელია გავეცნოთ თითოეული პროგრამის აღწერას და მიზანს, რაც დაგვეხმარება კიდევ უფრო კარგად გავიგოთ პროგრამის არსებობის მნიშვნელობა და გაგვიმარტივებს დაგეგმვის პროცესს. სისტემა ასევე იძლევა საშუალებას ჩვენს მიერ დაგეგმილ თითოეულ პროგრამაზე კომენტარის ველში დავაფიქსიროთ საკუთარი მოსაზრებები.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის პარალელურად „ჩემს მიერ დაგეგმილი ბიუჯეტის“ ნაწილში შესაძლებელია გრაფიკულად დავინახოთ თუ როგორ ვანაწილებთ სხვადასხვა პროგრამების მიხედვით საბიუჯეტო სახსრებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა შესაძლებელია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე პროცენტულად.



გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქალაქეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ტექსტური სახით გამოაგზავნონ კონკრეტული ახალი ინიციატივა დასაგეგმი წლის ბიუჯეტისთვის. ამისთვი სისტემის დაგეგმე ბიუჯეტის ნაწილში არის დამატებითი ველი დასახელებით „2025 წლის ბიუჯეტისთვის ახალი ინიციატივა“.

მოქალაქის გზამკვლევის მოდულში შესაძლებელია, როგორც სახელმწიფო ბიუეჯტის მოქალაქის გზამკვლევის, ასევე ბიუჯეტის ბროშურების, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოკლე გზამკვლევის და ბიუჯეტის კვარტალური შესრულების შესახებ ინფორმაციის მოძიება. აღნიშნული გზამკვლევების მთავარი მიზანია მოქალაქეს მარტივად აღსაქმელად მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ბიუჯეტის გრაფიკული მონაცემები საშუალებას იძლევა მოქალაქემ გრაფიკულ გამოსახულებაში ნახოს მის მიერ დაგეგმილი ბიუჯეტი როგორც მხარჯავი ორგანიზაციების, ასევე პრიორიტეტების მიხედვით. ასევე შესაძლებელია ვნახოთ გამოკითხვის სრული შედეგი და შევაფასოთ თუ რამდენად შეესაბამება ჩვენს მიერ დაგეგმილი ბიუჯეტი გამოკითხვის ზოგად შედეგებს. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაში მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე წლის ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრების, ძირითადი მაკროეკონომიკური მონაცემების და ღია ბიუჯეტის ინდექსის კვლევის შესახებ.

საბიუჯეტო კალენდარი მოიცავს ინფორმაციას წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდექსით, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების შესრულების ვადებს. კალენდარი ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო პროცესით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვადებს.

საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს ინფორმაციას საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმების შესახებ 2009 წლიდან დღემდე, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა შეფასებების შესახებ, როგორებიცაა: საქართველოს საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასება (PIMA – IMF,2018 წელი); საქართველოში ფისკალური წესების შეფასება (IMF,2018 წელი); სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2017 წლის შეფასების ანგარიში და სხვა.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმდინარე წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობა მიიღო 14-მა რესპოდენტმა. წარმოდგენილი წინადადებები ეხება შემდეგ მიმართულებებს:

- გარემოს დაცვის ხელშეწყობა, მწვანე ტექნოლოგიების განვითარებას კლიმატის ცვლილების გავლენის შესამცირებლად;
- ტურიზმის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ამ გზით ახალი ტურისტების მოზიდვას, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოება, სოფლის განვითარება, იმპორტზე დამოკიდებულების ჩანაცვლება ადგილობრივი პროდიქციით;
- განათლების დაფინანსების ზრდა, კვალიფიციური მუშახელის შექმნა, შემოსავლების უთანასწორობის შემცირება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- თავდაცვის და უსაფრთხოების გაძლიერება ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

მიღებულ წინადადებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ **2025 წლის ბიუჯეტის კანონით** გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძებები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 808,1 მლნ ლარს, რაც 2024 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 120,1 მლნ ლარით. მათ შორის, აღსანიშნავია შემდეგ მიმართულებებზე დაფინანსების ზრდა;

მათ შორის:

- ✓ **გარემოს დაცვაზე 2025 წელს მიიმართება 245,0 მლნ ლარამდე, რაც 27 მლნ ლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს;**
- ✓ **სოფლის მეურნეობის მიმართულებით 2025 წელს გათვალისწინებულია 681,3 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 103,9 მლნ ლარით აღემატება;**

	2024 წლის გეგმა	*2025 წლის პროექტი*	*სხვაობა*
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**688,000.0**	**808,100.0**	**120,100.0**
მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	53,800.0	81,180.0	27,380.0
ერთიანი აგროპროექტი	342,000.0	350,870.0	8,870.0
გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი	23,780.0	33,600.0	9,820.0
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	63,900.0	72,340.0	8,440.0

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულია 48,7 მლნ ლარი, რაც 15,2 მლნ ლარით მეტია 2024 წლის მონაცემთან შედარებით;

განათლების და მეცნიერების მიმართულებით დაფინანსება გათვალისწინებულია 3 085,0 მლნ ლარით, რაც 2024 წლის მონაცემს აღემატება 577,0 მლნ ლარით.

- საჯარო სკოლების დაფინანსებაზე მიიმართება დამატებით 290,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მიმდინარე წლის ივლისიდან გაზრდილი ხელფასების სრულად დაფინანსება;
- გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 600,0 მლნ ლარზე მეტი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 225,0 მლნ ლარზე მეტი;

თავდაცვის სამინისტროსთვის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 730,0 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 350,0 მლნ ლარით აღემატება. გამოყოფილი თანხის ფარგლებში თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და მისი შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 490,0 მლნ ლარი.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

თითოეული მოქალაქის აზრი უმნიშვნელოვანესია საქართველოს მთავრობისთვის, რათა ერთად შევიმუშაოთ ეფექტური, მდგრადი, დაბალანსებული და მოქალაქეზე ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი.

„ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემის“ (eBTPS – Budget Transparency and Participation System) შემუშავების უმთავრები მიზანი არის მოქალაქეებისთვის შესაძლებლობის მიცემა საკუთარი აზრი გამოხატონ ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართულებით, იყვნენ ინფორმირებულები საბიუჯეტო პროცესზე და უფრო აქტიურად ჩაერთონ იმ ძირითადი პრიორიტეტების დადგენაში, რომლის დაფინანსებაც უნდა განხორციელდეს ბიუჯეტიდან.



აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სისტემის მეშვეობით შემოსული ინიციატივები თუ წინადადებები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო პროცესის დასაწყისში ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება, რომ სამინისტროებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული სისტემის გავრცელება შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებში და შემოსული წინადადებები განიხილონ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს არსებული და პოტენციური საჭიროებების იდენტიფიცირებას, აღნიშნული საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება. საბიუჯეტო პროცესის კომპლექსურობა და სისტემის დაბალი ცნობადობა დამაბრკოლებელი ფაქტორია მოქალაქეთათვის, რათა შეძლონ წარმოდგენილი სისტემის სათანადოდ გამოყენება და შესაბამისი წინადადებების/ინიციატივების წარმოდგენა. სისტემის შემუშავებიდან დღემდე ნათლად გამოჩნდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში, ინფორმაციის მარტივად და მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება. საბიუჯეტო პროცესის შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება უზრუნველყოფს ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფრო კონკრეტული წინადადებების/ინიციატივების მიღებას, რაც შემდგომში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

„ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა“ (eBTPS – Budget Transparency and Participation System) გააქტიურებულია 2020 წლის პირველი იანვრიდან, რაც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს შემდგომი წლების ბიუჯეტების დაგეგმვაში მიიღონ

აქტიური მონაწილეობა. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროს რადიკალურად შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა სრულფასოვნად სისტემის ფუნქციონირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც დაგეგმილი იყო პორტალის შემუშავების დროს, როგორიცაა: სისტემის პოპულარიზაციის გაზრდა, ბრენდბუქის შემუშავება და მხარჯავი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

2024 წელს USAID-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილია ელექტრონული პორტალის ფუნქციონალის გაუმჯობესება და მისი სრულყოფილად დანერგვა. აღნიშნული სისტემა დაიხვეწება პრაქტიკაში არსებული გამოწვევების შესაბამისად და ხელმისაწვდომი გახდება პოლიტიკის განმსაზღვრელი სამინისტროების ვებ-გვერდების საშუალებითაც, რათა გაფართოვდეს პორტალის მომხმარებლების წრე.

საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით მხარჯავი დაწესებულებების როლი უმთავრესია, ვინაიდან ისინი ქვეყნის მასშტაბით განსაზღვრავენ და გეგმავენ პოლიტიკის მიმართულებებს და განსახორციელებელ პროგრამებს ქვეყანაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ამავდროულად, მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა განიხილონ მოქალაქეთა მოსაზრებები და მოამზადონ ინფორმაცია ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მათი გათვალისწინების შესაძლებლობების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც საბიუჯეტო პროცესის მაკოორდინირებელი უწყება აქტიურად არის ჩართული ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის გაძლიერებაში.